



Children of Georgia
საქართველოს ბავშვები

დადგენილება

**ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), სექსუალური
ექსპლოატაციისა და ძალადობისაგან დაცვის დონისძიებების
შესახებ**

დამტკიცებულია 01.01.2019

საქართველოს ბავშვების დირექტორი ანნა გაზაშვილი

განახლებულია: 2020 დეკემბერი

1. შესავალი

აღნიშნული დადგენილება წარმოადგენს ორგანიზაცია რეგისტრირებული კავშირი საქართველოს ბავშვების (შემდგომში „ორგანიზაცია“) შიდა დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობის პრევენციის, დროული იდენტიფიცირების, სათანადო რეაგირებისა და ანგარიშგებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს. დადგენილება გამოქვეყნებულია ორგანიზაციის ვებგვერდზე¹ ხელმისაწვდომია, როგორც დაქირავებული/მომსახურების გამწევი ფიზიკური/იურიდიული პირებისათვის ასევე ორგანიზაციის ბენეფიციარებისათვის.

აღნიშნული დოკუმენტი ეყრდნობა:

- ევროპის საბჭოს კონვენციას ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ²
- გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის ბიულეტენს სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობისაგან დაცვის შესახებ³
- საქართველოს კანონს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ⁴

2. განმარტება

- „ადამიანებით ვაჭრობა“ ნიშნავს ექსპლოატაციის მიზნით პირთა სამუშაოზე აყვანას, ტრანსპორტირებას, გადაცემას თავშესაფრის მიცემას ან მიღებას, მუქარის ან ძალის ან იძულების სხვა ფორმის გამოყენების, მოტაცების, თაღლითობის, მოტყუების, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, ან უმწეო მდგომარეობით სარგებლობის ან

¹ <https://cog.ge/repge.html>

² <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1203547?publication=0>

³ <https://undocs.org/en/ST/SGB/2003/13>

⁴ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=18>

საზღაურის ან სარგებლის მიცემის ან მიღების გზით, რომლის მიზანია იმ პირის თანხმობის მიღება, რომელიც ახორციელებს კონტროლს სხვა პირზე. ექსპლოატაცია, ყველაზე შეზღუდული განმარტებით, მოიცავს სხვა პირთა ექსპლოატაციის პროსტიტუციის მიზნით ან სექსუალური ექსპლოატაციის სხვა ფორმებს, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონურ ან სხვა მსგავს მდგომარეობაში ჩაყენებას, ყმობას ან ორგანოების ამოცლას;

- „სექსუალური ექსპლოატაცია“ ნიშნავს სექსუალური მიზნებისათვის პირის წინააღმდეგ განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებას ან მცდელობას, რომელიც ეფუძნება მოწყვლადობის, ფინანსურ სარგებლის, ნდობის და სხვა ფაქტორების ბოროტად გამოყენებას.
- „სექსუალური ძალადობა“ ნიშნავს – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება პირის მიმართ.

3. სამიზნე ჯგუფი

აღნიშნული დადგენილების შესრულება სავალდებულოა:

- რეგისტრირებული კავშირ საქართველოს ბავშვების მიერ დაქირავებული და მომსახურების გამწევი ყველა ფიზიკური პირის მიერ რასაც ადასტურებენ შესაბამის ფორმაზე ხელმოწერით იხ. დანართი 1.
- რეგისტრირებული კავშირ საქართველოს ბავშვების მიერ დაქირავებული / გაცემული გრანტების შემსრულებელი იურიდიული პირების მიერ, იხილეთ დანართი 2.

4. ორგანიზაციული პოლიტიკა

4.1. დაუშვებელია ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), სექსუალური ექსპლოატაცია და ძალადობა

- 4.2. ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), სექსუალური ექსპლოატაცია და ძალადობა არის კანონმდებლობისა და ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპების მძიმე დარღვევა და წარმოადგენს საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტისა და სამართლებრივი რეაგირების საფუძველს.
- 4.3. დაუშვებელია არასრულწლოვნების მიმართ ნებისმიერი სექსუალური ხასიათის ქმედება.
- 4.4. დაუშვებელია სექსუალური ქმედება და ექსპლოატაცია თანხის, მომსახურების ან სხვა სარგებელის სანაცვლოდ.
- 4.5. დაუშვებელია სექსუალური ქმედება და ექსპლოატაცია ბუნეფიცირებთან, დახმარების მიმღებ პირებთან.
- 4.6. ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობისა შემთხვევებისას აუცილებელია შესაბამისი გზით შეტყობინება.
- 4.7. აუცილებელია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობის პრევენცია, შესაბამისი ღონისძიებების გატარების გზით.
- 4.8. ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობისა შემთხვევების შესახებ შეტყობინების ინიციატორი დაცულია შემდგომი შურისძიებისაგან (საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტა, ანაზღაურების შემცირება, პირობების გაუარესება, რესურსებზე ხელმისაწვდომობის შემცირება).

5. ღონისძიებები

- 5.1. ორგანიზაციის მენეჯმენტი პასუხისმგებელია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობისაგან დაცვის ღონისძიებების გატარებაზე. ორგანიზაცია ასევე გამოყოფს პასუხისმგებელ პირს.
- 5.2. პასუხისმგებელი პირის/პირების ამოცანებს წარმოადგენს:
 - ორგანიზაციის რეგულაციებისა და პრაქტიკის პერიოდული შეფასება ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობისაგან დაცვის კუთხით და გაუმჯობესების შეთავსება ხელმძღვანელობისათვის.

- ორგანიზაციის მიერ დაქირავებული ფიზიკური პირებისათვის პერიოდული ტრენინგის ჩატარება ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობისაგან დაცვის კუთხით.
- დაქირავებული და მომსახურების გამწევი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, ბენეფიციარებისათვის და სხვა სამიზნე ჯგუფებისათვის ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობის დაუშვებლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
- საქმიანი ურთიერთობის დაწყებამდე, ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობასთან დაკავშირებულ ქმედებებში, სუბიექტის მონაწილეობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ინფორმაციის მოძიება.
- ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობის შემთხვევების შესახებ ანგარიშების მიღება და რეაგირების ფასილიტირება.

6. ანგარიშგება

- 6.1. ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობის შემთხვევების შესახებ ანგარიშგება არის კონფიდენციალური. დაუშვებელია მესამე პირებისთვის ინფორმაციის გადაცემა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ორგანიზაცია ვალდებულია აცნობოს შესაბამის ორგანოებს ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესაძლო დარღვევების შესახებ.
- 6.2. სავარაუდო ინციდენტის შესახებ შეტყობინების შესახებ ანგარიში სასურველია მოიცავდეს დანართ 3-ში აღნიშნულ ინფორმაციას.
- 6.3. შეტყობინება შესაძლოა ნებისმიერი ელექტრონული (სმს, ელ.ფოსტა, სხვ) და ფიზიკური (წერილი, ხელნაწერი, ნაბეჭდი) ფორმით.

- 6.4. შეტყობინება, იქნება ის ელექტრონული თუ ფიზიკური ფორმით, ინახება დაცულად.
- 6.5. აღნიშნული შეტყობინების პროცედურები ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ვებგვერდზე⁵.

7. გადამისამართება/დახმარება

- 7.1. ინციდენტით სავარაუდოდ დაზარალებული/მსხვერპლი კვალიფიციური პროფესიული დახმარებისთვის შესაძლოა გადამისამართდეს:
- თბილისის ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი)
 - ბათუმის ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი)
 - ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრები - 116009 ცხ.ხაზი
 - სოციალური მომსახურების სააგენტო
 - საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი-ბავშვთა დახმარების ხაზი 116111/2421422
- 7.2. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად არასრულწლოვანთან დაკავშირებული შემთხვევა გადამისამართებული იქნება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების⁶ შესაბამისად.

8. შემთხვევის განხილვა და მოკვლევის პროცედურები

- 8.1. სავარაუდო ინციდენტის შესახებ შეტყობინების მიღებისას პასუხისმგებელი პირი ადგენს შესაბამის ანგარიშს (დანართი 3).
- 8.2. ორგანიზაციაში სავარაუდო ინციდენტის განხილვისათვის იქნება შესაბამისი კომისია. კომისიას ფასილიტირებას უწევს პასუხისმგებელი პირი.
- 8.3. ორგანიზაციაში შიდა მოკვლევის პარალელურად კანონმდებლობით დადგენილი წესით შემთხვევა გადამისამართება შესაბამის სამართალდამცავ უწყებაში.

⁵ <https://cog.ge/repge.html>

⁶ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3394478?publication=0>

- 8.4. შემთხვევის მოკვლევის პარალელურად ტარდება ღონისძიებები სავარაუდო მსხვერპლის დასაცავად სავარაუდო მოძალადისგან.
- 8.5. კონკრეტული პასუხისმგებელი პირის ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას, მოკვლევაში ჩართული იქნება სხვა პასუხისმგებელი პირი ან ორგანიზაციის გამგეობის წევრი.
- 8.6. ენობრივი ბარიერის არსებობის შემთხვევაში მოკვლევაში მოწვეული/ჩართული იქნება შესაბამისი ენის მცოდნე დამოუკიდებელი პირი.
- 8.7. შიდა/გარე მოკვლევაში ჩართული კომპეტენტური პირებისათვის ხელმისაწვდომი იქნება ინციდენტსა და მასთან დაკავშირებულ გარემოებების შესახებ ორგანიზაციისათვის არსებული ინფორმაცია.
- 8.8. მოკვლევის შედეგად დადასტურებულ ინციდენტზე შესაბამის რეაგირებას ახდენს ორგანიზაციის ადმინისტრაცია.

დანართი 1

**დაქირავებული და მომსახურების გამწევი ფიზიკური პირების მიერ
ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), სექსუალური ექსპლოატაციისა და
ძალადობის დაუშვებლობის შესახებ**

მოქალაქე _____/პ.ნ. _____ ვაცხადებ რომ
გავეცანი რეგისტრირებულ კავშირ საქართველოს ბავშვების დადგენილებას
ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), სექსუალური ექსპლოატაციისა და
ძალადობისაგან დაცვის ღონისძიებების შესახებ და ვიზიარებ მის სახელმძღვანელო
პრინციპებს.

მოქალაქე _____ (სახელი და გვარი)

ხელმოწერა _____

თარიღი _____

დანართი 2

**გაცემული გრანტების შემსრულებელი და მომსახურების გამწევი იურიდიული
პირების მიერ ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), სექსუალური
ექსპლოატაციისა და ძალადობის დაუშვებლობის შესახებ**

იურიდიული

პირი

(დასახელება) _____

საგადასახადო კოდი _____

ვაცხადებ რომ გავეცანი რეგისტრირებულ კავშირ საქართველოს ბავშვების დადგენილებას ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობისაგან დაცვის ღონისძიებების შესახებ და ვიზიარებ მის სახელმძღვანელო პრინციპებს.

უფლებამოსილი პირი _____ (სახელი და გვარი)

თანამდებობა _____

ხელმოწერა _____

თარიღი _____

დანართი 3

ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობის შემთხვევის შეტყობინების ფორმა⁷

1. დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ, როდის და ვის მიერ მოხდა სავარაუდო ინციდენტის შესახებ შეტყობინება:
2. სავარაუდო ინციდენტის აღწერა, თარიღის, დროისა და ადგილის მითითებით:
3. ინფორმაცია ინციდენტით სავარაუდოდ დაზარალებული/მსხვერპლის შესახებ (სახელი, ასაკი, სქესი, ეთნიკური წარმომავლობა/მოქალაქეობა, განსაკუთრებული საჭიროებები):
4. ინფორმაცია სავარაუდო დამნაშავეს/დამრღვევის შესახებ (სახელი, ასაკი, სქესი, მოქალაქეობა, დამსაქმებელი ორგანიზაცია/პოზიცია, მის მიერ ჩადენილი სხვა ცნობილი დარღვევები):
5. სავარაუდო ინციდენტთან დაკავშირებით რა ქმედება განახორციელდა დღემდე (რეფერალი, დახმარება, გამოძიება სხვ):

ანგარიში სმოამზადა:

სახელი გვარი:

საკონტაქტო ინფორმაცია:

თარიღი:

⁷ ფორმა წარმოადგენს ორგანიზაციის შიდა კონფიდენციალურ დოკუმენტს, უნდა ინახებოდეს დაცულად.